საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (ფაკულტეტი)

ისტორიის მიმართულება

ხელნაწერის უფლებით

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

ბესიკ გაფრინდაშვილი

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები

(გელათი, ხონი, ნიკორწმინდა)

1529-1820 წწ.

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

სადისერტაციო მაცნე

თბილისი

2014

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) ისტორიის მიმართულებაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მეტრეველი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ელდარ ბუბულაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. გიორგი კალანდია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

3. მერაბ კეზევაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2014 წლის .... საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის (ფაკულტეტის) სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0162, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ა, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი (IV სართული).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პიველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2014 წლის .....

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული

სარჩევი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება ....

თემის აქტუალობა . . . . . .

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები . . . . . .

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები . .. .

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები . . . . . .

ნაშრომის თეორიული ღირებულება . . . .

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა . . . . . .

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა . . . .

თავი I. საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მასში შემავალი საეპისკოპოსოები დასაბამიდან XVI საუკუნემდე . . . . . .

თავი II. ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI ს-ის პირველ ნახევარში. . . . . .

1. § ახალი საეპისკოპოსოების დაარსების მოტივი და მიზანი . . . . . .

2. § გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები . . . . . .

3.§ ხონის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები . . . . . .

4.§ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები . . . . . .

თავი III. საეპისკოპოსოების მართვა–გამგეობა XVI–XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოში და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებანი . . . . .

თავი IV. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონის, ნიკორწმინდა) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა . . . . . .

თავი V. გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი (1529 – 1820 წწ.) . . . . . .

თავი VI. ხონელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი (1529-1820) . . . . . .

თავი VII. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი (1534 – 1820) . . . .

დასკვნა . . . . . .

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. საბჭოთა ეპოქაში, რომელმაც გასული საუკუნის 70 წელი მოიცვა, ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული ათეისტური იდეოლოგიის გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის შესახებ სამეცნიერო შრომები ნაკლებად იწერებოდა. არადა ქართული საეკლესიო ისტორია ივ. ჯავახიშვილის თქმით, საქართველოს სამოქალაქო ისტორიის შესასწავლად უამრავ საგულისხმო და გამოსადეგ ცნობას ინახავს. უკანასკნელ ხანებში ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევა გაფართოვდა. შესწავლილი და გამოკვლეული იქნა არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მაგრამ რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) ისტორია ერთიან ჭრილში აქამდე არ განხილულა. აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შემავალი რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსო კათედრები (განსაკუთრებით გელათის საეპისკოპოსო კათედრა), არა მარტო სასულიერო ცენტრებს, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართველი ერის ცხოვრებაში. ამიტომ აღნიშნული საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) ისტორიის შესწავლა არამარტო საეკლესიო, არამედ სახელმწიფოებრივი ისტორიის შესწავლისთვისაც არის მნიშვნელოვანი. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ სრულყოფილად წარმოგვეჩინა რაჭა-იმერეთის (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) საეპისკოპოსოების ისტორია.

ნაშრომის ძირითადი მიზანი და ამოცანები. სადისერტაციო კვლევის საგანს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს სამი უძველესი საეპისკოპოსოს გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა 1529 – 1820 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში, ანუ აღნიშნული საეპისკოპოსოების დაარსებიდან მათ ფაქტობრივ გაუქმებამდე. სადისერტაციო ნაშრომის მიზანია დაადგინოს გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსების თარიღები და საზღვრები, ამ საეპისკოპოსო კათედრებზე მსხდომი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგები, ამავდროულად შეისწავლოს გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მრავალმხრივი მოღვაწეობა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს XVI – XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოებში არსებული მართვა-გამგეობის წესებისა და ეპისკოპოსთა უფლება-ვალდებულებების გამოკვლევას, ასევე რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) სოციალურ-ეკონომიკური საკითხის შესწავლას და სხვა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები. არსებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, სადისერტაციო ნაშრომში დადგენილია რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების დაარსების თარიღები და საზღვრები, (გალათსა და ხონში საეპისკოპოსო კათედრები დაარსდა 1529 წელს, 1534 წელს საეპისკოპოსო დაარსდა ნიკორწმინდაშიც). გათვალისწინებულია ამ საკითხების ირგვლივ გამოთქმული მოსაზრებებიც. გამოკვლეულია გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების დღემდე უცნობი ცხოვრებისეული დეტალები. გადამოწმებულია სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი გენათელი, ხონელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების ქრონოლოგიური რიგები და გასწორებულია მათში აღმოჩენილი ხარვეზები. ძიების პროცესში, ისტორიულ დოკუმენტებში აღმოჩნდა დღემდე უცნობი

რაჭა-იმერეთის ეპისკოპოსებიც, მათ შორის იმერეთის მეფე გიორგი II-ის (1565 – 1584) მიერ XVI ს-ის 70-იან წლებში გენათელად დადგენილი აბაშიძე, რომლის სახელს წყაროებში ვერ მივაკვლიეთ. ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში გამოვიკვლიეთ XVI – XVIII სს-ში რაჭა-იმერეთსა და ზოგადად დასავლეთ საქართველოში საეპისკოპოსო კათედრების მართვა-გამგეობის წესები და ეპისკოპოსთა უფლება-ვალდებულებანი. აგრეთვე ყურადღება გავამახვილეთ გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. შევისწავლეთ თუ როგორ მუშაობდა აღნიშნულ საეპისკოპოსოებში სამეურნეო მექანიზმი და რა ოდენობის გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული მათ სამწყსოში შემავალ გლეხებს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება დასავლეთ ევროპაში მიღებული ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას, აგრეთვე, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ნარატიული, დოკუმენტური თუ სხვა სახის წყაროების, აგრეთვე ისტორიოგრაფიის, კრიტიკული შესწავლისა და გაანალიზების შედეგად დასკვნების გაკეთებას.

ნაშრომის თეორიული ღირებულება. ნაშრომის თეორიული ღირებულება ისაა, რომ არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, საფუძვლიანადაა შესწავლილი სამი უძველესი საეპისკოპოსოს გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის ისტორია 1529 – 1820 წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში, (მათი დაარსებიდან გაუქმებამდე).

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის შედეგები, სრულყოფილს ხდის და აღრმავებს ჩვენს ცოდნას საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის რაჭა-იმერეთის, კერძოდ, გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების წარსულის შესახებ. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი დააინტერესებს არა მარტო საქართველოს საეკლესიო ისტორიის მკვლევარებს, არამედ შუა საუკუნეების საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სადისერტაციო ნაშრომი „რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529 – 1820 წწ.“ შედგება ანოტაციის, შესავლის, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვის, შვიდი თავის, დასკვნის და დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისგან.

ანოტაცია - შედგება 3 გვერდისგან (2 გვერდი ქართული ვერსია, 1 გვერდი ინგლისური ვერსია), სადაც გადმოცემულია სადოქტორო ნაშრომის მოკლე შინაარსი.

შესავალი - შედგება ნახევარი გვერდისგან, სადაც მოკლედ არის ნათქვამი სადოქტორო ნაშრომის კვლევის აქტუალობის შესახებ.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა - შედგება 8 გვერდისგან, სადაც მიმოხილულია საკვლევი თემის ირგვლივ არსებული დოკუმენტები და ისტორიოგრაფია.

თავი I. საქართველოს სამოციქულო ეკლესია და მასში შემავალი საეპისკოპოსოები დასაბამიდან XVI საუკუნემდე - შედგება 14 გვერდისგან, სადაც მოკლედ არის მიმოხილული ქართული ეკლესიისა და მასში შემავალი საეპისკოპოსოების ისტორია I საუკუნიდან XVI საუკუნემდე, ანუ გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსებამდე, რომელიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა.

თავი II. ახალი საეპისკოპოსოების დაარსება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI ს-ის პირეველ ნახევარში - შედგება 4 პარაგრაფისა და 26 გვერდისგან.

§ 1-ში განხილულია ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსების მოტივი და მიზანი.

§ 2 შეეხება გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღისა და საზღვრების დადგენას.

§ 3 შეეხება ხონის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღისა და საზღვრების დადგენას.

§4 შეეხება ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღისა და საზღვრების

დადგენას.

თავი III. საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობა XVI-XVIII სს-ის დასავლეთ საქართველოში და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებანი - შედგება 8 გვერდისგან, სადაც განხილულია XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში შემავალი საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობის წესები და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებები.

თავი IV. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - შედგება 16 გვერდისგან, სადაც განხილულია გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების სოციალური და ეკონომიკური საკითხები.

თავი V. გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი - შედგება 78 გვერდისგან, სადაც გამოკვლეულია 19 გენათელი ეპისკოპოსის მრავალმხრივი მოღვაწეობა და შედგენილია მათი ქრონოლოგიური რიგი.

თავი VI. ხონელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი - შედგება 32 გვერდისგან, სადაც გამოკვლეულია 13 ხონელი ეპისკოპოსის მოღვაწეობა და შედგენილია მათი ქრონოლოგიური რიგი.

თავი VII. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი - შედგება 23 გვერდისგან, სადაც გამოკვლეულია 14 ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის მოღვაწეობა და შედგენილია მათი ქრონოლოგიური რიგი.

დასკვნა - შედგება 6 გვერდისგან, სადაც მოკლედ არის შეჯამებული საკვლევი თემის ირგვლივ განხილული საკითხები და მათზე გაკეთებული დასკვნები.

წყაროებისა და ლიტერატურის სია - შედგება 10 გვერდისგან, სადაც ანბანური თანრიგის მიხედვით არის დალაგებული დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა.

ნაშრომის ზოგადი შინაარსი

თავი I. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და მასში შემავალი საეპისკოპოსოები დასაბამიდან XVI ს - ის პირველ ნახევარამდე (მოკლე მიმოხილვა)

საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მასში შემავალი საეპისკოპოსოების ისტორია პირველი საუკუნიდან იღებს სათავეს. „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობის მიხედვით, ქართული ეკლესია დაამყარა ანდრია მოციქულმა, რომელმაც აწყურში ხელი დაასხა პირველ ეპისკოპოსს და დაუარსა საეპისკოპოსო კათედრა.

საქართველოში ქრისტიანობა თვით ქრისტეს მოციქულებმა რომ იქადაგეს, ქართული ისტორიული წყაროების გარდა, უცხოელი ავტორების გადმოცემებიც ადასტურებს, („ძეგლის წერაი რუის–ურბნისისა კრებისაი,“ ეფთვიმე მთაწმინდელის, ეფრემ მცირესა და გიორგი მცირეს თხზულებები, ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, ეპიფანე კვიპრელი და სხვ.).

დროთა განმავლობაში ქართული ეკლესია ძლიერდებოდა და იზრდებოდა საეპისკოპოსო კათედრების რიცხვიც, ისევე როგორც დასავლეთ, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში. იყო შემთხვევები როდესაც ზოგიერთი საეპისკოპოსო კათედრა უქმდებოდა და მათ ნაცვლად ახალი საეპისკოპოსო ჩნდებოდა. ხშირად ხდებოდა გაუქმებული საეპისკოპოსო კათედრის აღდგენაც.

ეპისკოპოსი ბერძნული სიტყვაა და ზედამხედველს ნიშნავს. ეპისკოპოსნი იყვნენ „პატივსა მღვდელმთავრობისასა“ და ამის გამო მათ მღვდლები და ეკლესიის ყველა მსახურნი ხელქვეით ჰყავდათ. თავიდან ეპისკოპოსები ცოლოსნები იყვნენ. მე–6 მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680–681) აკრძალა ეპისკოპოსების ცოლოსნობა და მას შემდეგ, ამ პატივის მიღება მხოლოდ შავი სამღვდელოების წარმომადგენლებისთვის (ბერ–მონაზვნებისთვის) გახდა შესაძლებელი.

ეპისკოპოსი შეიძლებოდა გამხდარიყო საზოგადოების ნებისმიერი სოციალური წრიდან გამოსული და საეკლესიო იერარქია გავლილი შავი სამღვდელოების წარმომადგენელი, მისი პიროვნული ღირსებებისა და სათანადო განსწავლულობის შესაბამისად. ეპისკოპოსს კათალიკოსი ადგენდა. VIII-X სს-ში ქართულ ეკლესიაში ეპისკოპოსის პატივის მისაღებად სასულიერო პირის არჩევაში, სამღვდელოებასთან ერთად ერისკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს უფლება ერს ჩამოერთვა და ეპისკოპოსის პატივის მიღება მხოლოდ მეფე-მთავრებისათვის სასურველი კანდიდატების ხვედრი გახდა, რომლებიც ფეოდალური წრიდან გამოსული სასულიერო პირები იყვნენ. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი და არქიმანდრიტი, თავადთა წოდებასთან არის გათანაბრებული და მათი სისხლის ფასი ისეთივეა, როგორც თავადებისა.

XV ს-ის 70-იან წლებში ერთიან ქართულ ეკლესიას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო გამოეყო. დასავლეთ საქართველოში არსებული საეპისკოპოსოები აფხაზეთის (დასავლეთ

საქართველოს) კათალიკოსს დაექვემდებარა. XVI ს-ის დასაწყისში ისტორიული წყაროების მიხედვით, რაჭა-იმერეთში მხოლოდ ქუთაისის საეპისკოპოსო იყო. ახალგაზრდა იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ (1510 – 1565), იმ ხანად დასუსტებული ეკლესიის გაძლიერება დაისახა მიზნად და თავის სამეფოში ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსებას ჩაუყარა საფუძველი.

თავი II. ახალი საეპისკოპოსოების (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დაარსება იმერეთის მეფის ბაგრატ III - ის თაოსნობით XVI ს - ის პირველ ნახევარში.

§1 ახალი საეპისკოპოსოების დაარსების მოტივი და მიზანი

როგორც აღვნიშნეთ XVI ს-ის დასაწყისში იმერეთის მხარეში მხოლოდ ქუთაისის საეპისკოპოსო არსებობდა, რომელიც სავარაუდოდ რაჭასაც მოიცავდა. იმ ხანად დასავლეთ ქართული ეკლესია საკმაოდ დასუსტებული იყო. ქუთათელი ეპისკოპოსი ვეღარ ახერხებდა სამწყსო მამულების დაცვას და საეკლესიო მიწების დიდი ნაწილი გაძლიერებული ფეოდალების საკუთრებაში გადადიოდა, რაც სამეფო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ახალგაზრდა იმერეთის მეფემ ბაგრატ III-მ (1510 – 1565), ეკლესიის გაძლიერება დაისახა მიზნად, რომელიც ღვთივ გვირგვინოსან მეფეებს მუდამ მხარში ედგა სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეფე ბაგრატმა საეკლესიო მიწების დაცვისა და თავისთვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენის მიზნით, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს მალაქია აბაშიძესთან შეთანხმების შემდეგ, 1529 წელს ქუთაისის საეპისკოპოსოს გელათისა და ხონის საეპისკოპოსოები გამოჰყო. 1534 წელს მეფე ბაგრატმა საეპისკოპოსო დააარსა ნიკორწმინდაშიც. მან ახალი საეპისკოპოსოების დაარსებით ეკლესია წინა პლანზე წამოსწია და მისი სახით ერთგული მოკავშირე გაიჩინა გაძლიერებული ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

§2 გელათის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

„ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობების თანახმად, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510 – 1565) თაოსნობით 1529 წელს ქუთაისის საეპისკოპოსოს გელათისა და ხონის საეპისკოპოსოები გამოეყო, გენათელ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე იქნა დადგენილი. ვახუშტი ბატონიშვილი და რამდენიმე ქრონიკალური მინაწერი გელათის საეპისკოპოსოს დაარსებას 1519 წლით ათარიღებს. შემოქმედის გულანში ეს ფაქტი 1525 წლით აღინიშნება.

გელათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ განსხვავებული თარიღების არსებობამ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული ფაქტი 1519 წელს მოხდა (თ.

ჟორდანია, მ. გოგსაძე, თ. ქორიძე), ნაწილი 1529 წელს მიიჩნევს სწორად (ს. კაკაბაძე, ბ. ლომინაძე, ო. სოსელია, მ. რეხვიაშვილი, გ. მჭედლიძე, ლ. ტყეშელაშვილი, პ. გაბისონია და სხვანი).

ჩვენი ვარაუდით გელათის საეპისკოპოსო 1529 წელს უნდა დაარსებულიყო, რაც „ქართლის ცხოვრების გაგრძელებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობებით დასტურდება. ხსენებულ მატიანეებში აღნიშნულია, რომ 1529 წელს გარდაიცვალა ქუთათელი გერასიმე და ბიჭვინთაში ქუთათელად აკურთხეს მისი ძმიშვილი სვიმონი, (1529 წელს სვიმონის ქუთათელ ეპისკოპოსად კურთხევა სხვა ცნობებითაც დასტურდება). ამავე 1529 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ, „განყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოზოდ,“ გენათელ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე, ხონელად კი მანოელ ჩხეტიძე იქნა დადგენილი, რომელთაც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსმა მალაქია აბაშიძემ ბიჭვინთაში დაასხა ხელი. მელქისედეკ აბაშიძე და მანოელ ჩხეტიძე ბიჭვინთაში 1529 წლის 20 ივნისს გამგზავრებულან და 20 ივლისს იმერეთში დაბრუნებულან. ამ ცნობას ამყარებს მეფე ბაგრატ III-ის მიერ გელათისათვის ბოძებული სიგელი, რომელიც 1527 წლით თარიღდება. სიგელში იხსენიება „დიდისა საყდრისა მოძღვართ-მოძღვარი მანასე,“ რაც ცხადყოფს, რომ გელათში 1527 წელს ჯერ კიდევ მოძღვართ-მოძღვარი მოღვაწეობდა და საეპისკოპოსო კათედრა დაარსებული არ იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნულ სიგელში გენათელი ეპისკოპოსი ნახსენები იქნებოდა. ამგვარად „ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობები, რომელიც 1529 წელს ქუთაისის საეპისკოპოსოსგან გელათისა და ხონის საეპისკოპოსოების გამოყოფას შეეხება, სანდო უნდა იყოს.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსის მალაქიას მიერ სპეციალურად შედგენილ უთარიღო დოკუმენტში, რომელიც გელათის საეპისკოპოსოს დაარსებას შეეხება, ცნობა დაცულია გელათის სამწყსოსათვის დადგენილი საზღვრების შესახებ. გელათის საეპისკოპოსოსთვის ვრცელი ტერიტორია გამოუყვიათ. მათ შორის რიონის პირი და ქუთაისის ნაწილი, აგრეთვე ოკრიბა. გელათის საეპისკოპოსოს საზღვრებში შევიდა არგვეთის მხარეც „კაცხის ზღვარამდე და ხრეითს აქეთ რაჭის მთებამდე.“ გელათის საეპისკოპოსომ დაახლოებით იმერეთის ერთი მესამედი მოიცვა.

არსებობს ვარაუდები, რომ გელათში 1529 წლამდეც იყო საეპისკოპოსო კათედრა, მაგრამ წყაროთა სიმწირის გამო ძნელია დადგენა როდის შეწყვიტა მან მოქმედება. ფაქტი ერთია, 1529 წელს გელათში ახალი საეპისკოპოსო დაარსდა ახალი საზღვრებით და გენათელ ეპისკოპოსად ხელდასხმულ იქნა მელქისედეკ საყვარელიძე.

§ 3 ხონის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

როგორც აღვნიშნეთ „ახალი ქართლის ცხოვრებასა“ და „პარიზის ქრონიკაში“ დაცული ცნობების მიხედვით, 1529 წელს იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ინიციატივით ქუთაისის საეპისკოპოსოს გელათისა და ხონის საეპისკოპოსოები გამოეყო. ხონელ ეპისკოპოსად დადგენილი იქნა მანოელ ჩხეტიძე. „...ამასავე დროსა იმავე პატრონმან (ბაგრატ III - მ ბ. გ.) გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მჩეტის–ძე (ჩხეტიძე) მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო :ს ი ზ: (218) – 1529 წ.

ვახუშტი ბატონიშვილი ხონელ ეპისკოპოსს ვაკე იმერეთის მწყემსს უწოდებს. მისი თქმით: „ხონის ეკლესია ერთობასა შინა იყო ქართლის მთავარეპიზკოზისა. შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი.“ ხონის საეპისკოპოსო ვაკე იმერეთს მოიცავდა. თეათინელი მისიონერი ბერის კრისტოფორო კასტელის ცნობით - კონოლის, ანუ ხონის საეპისკოპოსო ქუთაისსა და სამეგრელოს საზღვარზე იყო, სადაც ცხოვრობდა მეფის მიერ არჩეული ეპისკოპოსი, რომელსაც პისტორე ეწოდებოდა. ხონის საეპისკოპოსოს საზღვრებზე საუბრობს გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტიც. მისი თქმით: „ხონელი მთავარეპისკოპოსის სამწყსო რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე იმერეთის ნაწილია.“

ხონის საეპისკოპოსოს საზღვრები თითქმის უცვლელად იყო შენარჩუნებული 1820-22 წლებამდე, ანუ აღნიშნული საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებამდე.

§ 4 ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი და საზღვრები

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობა შემონახულია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ნიკორწმინდისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც სავარაუდოდ პეტერბურგის საისტორიო არქივში ინახება. სიგელში საუბარია მეფე ბაგრატის მიერ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს შექმნასა და ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელის დადგენაზე. ეს უკანასკნელი ყოფილი ხონელი მანოელ ჩხეტიძე უნდა იყოს. აღნიშნული სიგელი გამოქვეყნებული აქვთ თ. ჟორდანიას და ს. კაკაბაძეს. თ. ჟორდანიას ვერსიაში სიგელი თარიღდება 1534 წლით: „დაიწერა (სიგელი ბ. გ.) ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქორონიკონსა :ს კ ბ: ანუ 1534 წელს.“ ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული ვერსიით: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა ქკ ~ ს (ქორონიკონსა) :ს კ ი ბ: (1544) თვესა აგვისტოსა თ (9).“

აღნიშნული სიგელის განსხვავებულმა დათარიღებებმა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მათი ნაწილი (ე. თაყაიშვილი, მ. ბერძნიშვილი, გ. გუგუშვილი) თვლის, რომ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო 1534 წელს დაარსდა, ნაწილს კი 1544 წელი მიაჩნია სწორად (თ. ბერაძე, მ. მურუსიძე). სიგელში აღნიშნული მეფე ბაგრატ III-ის ინდიქტიონით მეოთხე წელი, შეუსაბამობაში მოდის 1534 და 1544 წლებთან, რადგან ვიცით, რომ ბაგრატ III 1510 წელს გამეფდა, შესაბამისად მისი მეფობის მეოთხე ინდიქტიონი 1513 წელი იქნებოდა. ს. კაკაბაძეს მიაჩნია, რომ სიგელში მოხსენიებული მეფე ბაგრატი არ არის იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565), ის რაჭა-არგვეთის მფლობელი ბაგრატია, რომელიც 1541-1548 წლებში მეფობდა და რომლის მიერაც შეიქმნა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო.

ეს ვარაუდი სიზუსტეს მოკლებულია. ძნელი დასაჯერებელია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, რომლის გავლენა იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოზე ვრცელდებოდა, დაეშვა ვინმეს გაბატონება რაჭა-არგვეთში. გარდა ამისა ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსება სწორედ ბაგრატ III-ის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო, რაც მისთვის იმერეთის სამეფოში პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენას ისახავდა მიზნად. ამიტომ მოყვანილ დოკუმენტში მოხსენიებული

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დამაარსებელი მეფე ბაგრატი, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ა და არა ვინმე რაჭა-არგვეთის მფლობელი ბაგრატი.

თ. ჟორდანიას ვარაუდით სიგელში აღნიშნული „ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა“-ს ნაცვლად, უნდა იგულისხმებოდეს ოცდამეოთხესა. ამ შემთხვევაში მეფე ბაგრატ III-ის ოცდამეოთხე ინდიქტიონი და სიგელის შექმნის თარიღი, „ქორონიკონსა :ს კ ბ: (1534),“ თანხვედრაში მოდის, (1510 + 24 = 1534). ვფიქრობთ ამ საკითხზე თ. ჟორდანიას ვერსია მისაღებია. მეფე ბაგრატ III-ს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო, გამეფებიდან ოცდამეოთხე წელს, ანუ 1534 წელს უნდა დაეარსებინა.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსომ სრულიად რაჭა მოიცვა. ზემოთ მოყვანილ სიგელში დაცული ცნობის მიხედვით მისი სამხრეთ დასავლეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი თოთენდაურის, ოკრიბას, ნაკალოებსა და მუხურას მთებზე გადიოდა. აგრეთვე ნიკორწმინდის საეპისკოპოსოში შედიოდა: „ღები, გლოლა, მთა დვალეთისა, ყისონ გამომდინარე რიონი და ასკის წყალს გამოღმა სრულიად რაჭა.“ ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს საზღვრები უცვლელი ყოფილა XVIII საუკუნეშიც. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „ხოტევს ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ხევი. ამ ხევზედ არს ნიკოლაწმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა.“

არსებობს ვარაუდები, რომ ნიკორწმინდაში XVI საუკუნემდეც მოქმედებდა საეპისკოპოსო კათედრა, თუმცა ამის დამადასტურებელი ცნობები ძალიან მწირია. ისევე როგორც გელათში, აგრეთვე ნიკორწმინდაშიც, მეფე ბაგრატ III-მ XVI ს-ის პირველ ნახევარში ახალი საეპისკოპოსო შექმნა, რომელსაც თავისი სამწყსო საზღვრები დაუდგინა.

1820-22 წლებში რუსეთის ხელისუფლების დავალებით საქართველოს საეგზარქოსოს მიერ დასავლეთ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის შემდეგ, გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრები თავიანთ საზღვრებთან ერთად გაუქმებული იქნა და ახლადშექმნილ იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა.

თავი III. საეპისკოპოსოების მართვა - გამგეობა XVI – XVIII სს - ის დასავლეთ საქართველოში და ეპისკოპოსების უფლება - ვალდებულებანი

საეპისკოპოსო საკათალიკოსოში შემავალი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომლის მართვა-გამგეობა საკათალიკოსოს მართვის მსგავსად ხდებოდა. საეპისკოპოსოს სათავეში ეპისკოპოსი იდგა. მას მართვა-გამგეობაში სამღვდელო და საერო პირებისგან შემდგარი კოლეგია ეხმარებოდა, რომელთა შორის იყვნენ: ქორეპისკოპოსი, დეკანოზი, მოხელე კანდელაკი, მეღვინეთუხუცესი, მოურავი და სხვა. თანაშემწეებში პირველი ადგილი ქორეპისკოპოსს ეკავა. ქოეპისკოპოსობა იყო „პატივი უმეტესი მღდელობისაი“ და „წმიდათა ეკლესიათა... განმგებელ“-ად ითვლებოდა, განსაკუთრებით სოფლის ეკლესიათა. ქორეპისკოპოსს სოფლების მღვდელ-დიაკონნი ექვემდებარებოდნენ. ქორეპისკოპოსად გარდა ეპისკოპოსისა, შეიძლებოდა დანიშნულიყო დეკანოზი, მონასტრის წინამძღვარი, მღვდელი ან დიაკვანი. ქორეპისკოპოსის მოვალეობა იყო „სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის“ სიარული

და საქმეების მოწესრიგება. ამ შრომისათვის მას საეპისკოპოსოს შემოსავლიდან ეძლეოდა მეათედი ნაწილი.

საეპისკოპოსოს მართვაში სამღვდელოებასთან ერთად ჩართული იყვნენ საერო პირებიც, რომლებსაც გადასახადების აკრეფვა, აგრეთვე სამეურნეო, სამშენებლო და სხვა საქმიანობების ზედამხედველობა ევალებოდათ.

XV ს-ის 70-იან წლებში ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო-სამთავროებად დაიშალა. ამ პროცესებმა მთელ ქვეყანაში და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში ანარქია გამოიწვია, რომელიც დიდხანს გაგრძელდა და ეკლესიასაც მოედო. ადგილი ჰქონდა საეკლესიო წეს-წყობილების რღვევას. ერსა და ეკლესიაში გავრცელებული მანკიერებების ასალაგმად, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის თაოსნობით XVI ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება იქნა მოწვეული. კრებამ სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელა და განსაზღვრა დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობის წესები და ეპისკოპოსების უფლება-ვალდებულებანი. კრების გადაწყვეტილებით, რომელიც „სამართალი კათალიკოზისას“ სახელით არის ცნობილი, ეპისკოპოსს აეკრძალა 20 დღეზე მეტი ხნით თავისი სამწყსოს დატოვება, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ იყო.

ეპისკოპოსს თავისი სამწყსოს სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის გარდა, საეპისკოპოსოს შიგნით აღმშენებლობითი სამუშაოების წარმოება, საეკლესიო ყმა-მამულის გაზრდა და მწარმოებელი კლასისათვის სამეურნეო პირობების შექმნაც ევალებოდა.

ეპისკოპოსს ეკრძალებოდა უღირსი მღვდლის ან დიაკვნის კურთხევა, თუკი ეპისკოპოსისათვის მათი უღირსობა ცნობილი იყო. ეპისკოპოსს არ უნდა შეენდო სხვა ეპისკოპოსისაგან შეუნდობელი მღვდლის ან დიაკვნისათვის.

ეპისკოპოსი რომელიც „საღმრთოსა და სასჯულოსა საქმეზედა“ რამეს დააშავებდა და ამის გამო კათალიკოსი დანაშაულის გამოსწორებას მიუთითებდა, ხოლო ეპისკოპოსი კათალიკოსის მითითებას არ შეასრულებდა, მას მეფე „წირვისაგან განკვეთდა“ და თავის საეპისკოპოსოს ჩამოაცილებდა. მეფისაგან ისჯებოდა ყველა ის პირიც, თავადი, აზნაური თუ გელეხი, ვინც ეპისკოპოსს უსამართლოდ წინ აღუდგებოდა და არ დაემორჩილებოდა. ისჯებოდა კათალიკოზისა და ეპისკოპოსის მაგინებელნიც. როგორც ჩანს კრებაზე მიღებული განჩინება ჩამოთვლილი წესების შეუსრულებლობით იყო გამოწვეული.

ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ საჭიროების შემთხვევაში თავიანთ სამწყსოში მოეხდინათ სმხედრო მობილიზაცია. საეპისკოპოსოებიდან გამოყვანილი ჯარი თავად-აზნაურებისაგან შედგებოდა.

ეპისკოპოსებს მოღვაწეობა უწევდათ დიპლომატიურ სარბიელზეც და სასამართლო დავებშიც. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ გენათლები: ზაქარია ქვარიანი, იოსებ ბატონიშვილი, ეფთვიმე შარვაშიძე, ხონელები: იოსებ მაჩაბელი, მაქსიმე იაშვილი, ანტონ ჩიჯავაძე, ნიკორწმინდელები: გერმანე და სოფრონიოს წულუკიძეები და სხვანი.

XVI-XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოში საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობა თითქმის უცვლელად წარმოებდა. 1820-22 წლებში დასავლეთ საქართველოში გატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად, მოიშალა იქ არსებული საეპისკოპოსოების მმართველობითი სისტემა და ქართული ეპარქიები რუსული ეკლესიის ყაიდაზე გადავიდა.

თავი IV. რაჭა - იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა.

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებში (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) კარგად იყო გამართული სამეურნეო მექანიზმი. მეურნეობაში წამყვანი ადგილი მიწადმოქმედებას ეჭირა. განვითარებული იყო მევენახეობა და მეფუტკრეობაც. გელათის საეპისკოპოსოში მეღვინეობას დიდი ყურადრება ექცეოდა. საგენათლოს კრებულში მეღვინეთუხუცესსა და მეღვინეს საპატიო ადგილი ეკავა. ხონის საეპისკოპოსოში სხვა დარგებთან ერთად მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ, რასაც მოწმობს ხონის საყდრის საგადასახადო ნუსხებში დაფიქსირებული „საყაჭობო“ გადასახადი. აბრეშუმის ჭიას იმერეთში ყაჭს უწოდებდნენ. საყაჭობო გადასახადის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ხონის სამწყსოში მეაბრეშუმეობა განვითარებული იყო.

საეპისკოპოსოს ეკონომიკური სიძლიერე ძირითადად მის სამეურნეო წარმოებაზე იყო დამოკიდებული. მეურნეობას საეპისკოპოსოს სამწყსოს წევრები ეწეოდნენ. საეპისკოპოსოს სამწყსო, თავადების, აზნაურებისა და გლეხების სოციალურ ფენებს აერთიანებდა. თითოეული სოციალური ფენის წარმომადგენლებს გარკვეული ვალდებულებები ეკისრებოდა თავისი საეპისკოპოსო კათედრის წინაშე. თავადების ვალდებულება საჭიროების შემთხვევაში სამხედრო სამსახურით შემოიფარგლებოდა. აზნაურები სტუმრის გამასპინძლებით, ლაშქრობებში მონაწილეობის მიღებითა და სხვა საპატიო საქმით იყვნენ დაკავებული. გაცილებით უფრო მეტი ვალდებულებები ეკისრებოდა საეკლესიო გლეხებს. გლეხი, რომელიც ეკლესიის მიწაზე იჯდა, თავისი შემოსავლის ნაწილი, ეკლესიისათვის უნდა გაეღო. საეკლესიო გლეხების მდგომარეობა სამეფო და საბატონო გლეხების ფონზე, შედარებით მსუბუქი იყო, რადგან საეკლესიო გლეხები განთავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან.

საეკლესიო გლეხები, ისევე როგორც სამეფო და საბატონო გლეხები, რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. მათ შორის იყვნენ აზატები და მებეგრეები. მებეგრეები თავის მხრივ იყოფოდნენ მსახურებად და მოინალეებად. აზატები მებეგრეებზე პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. ზოგიერთ მათგანს თავისი გლეხიც კი ჰყავდა. აზატებს ევალებოდათ სტუმრის გამასპინძლება, ცხენით სამსახური, მცირე რაოდენობის ნატურალური გადასახადი და სხვა. ძირითადი ვალდებულებები და გადასახადები მებეგრე გლეხებს ეკისრებოდათ. იყვნენ მეაღაპე გლეხებიც, რომლებსაც ყოველწლიურად მხოლოდ ეკლესიისათვის შემომწირველის სულის მოსახსენიებელი აღაპი უნდა ეხადათ. აღაპის ბეგარაში შედიოდა სანთელი, პური, ღვინო, ხორცი, თევზი, ყველი და სხვა საჭმელი. მარხვის პერიოდში სამარხვო საკვები.

თითოეული საეპისკოპოსოს მწყემსმთავრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი სამწყსოს გლეხებზე ზრუნვას, რადგან გლეხები იყვნენ „მოქმედნი ამა ქვეყნისანი“ და საეპისკოპოსოს ეკონომიკური სიძლიერეც, ძირითადად, მათი შრომის ნაყოფიერებაზე აისახებოდა. საეკლესიო გლეხი, როგორც აღვნიშნეთ, ვალდებული იყო თავისი შემოსავლის ნაწილი ეკლესიისთვის მიეცა. გლეხი ბეგარას ნატურით იხდიდა, თუმცა არსებობდა ფულადი გადასახადებიც. გადასახადებში შედიოდა: საკლავი (უნდა იგულისხმებოდეს ძროხა ან ხარი. ხონის საყდრის დავთარში საკლავი ცალკე აღინიშნება და ღორი ცალკე. საცაიშლოს დავთარში კი ძროხა ცალკეა აღნიშნული და საკლავი ცალკე, ამ შემთხვევაში საკლავის სახით ღორი უნდა იგულისხმებოდეს), ღორი, ქათამი, თევზი, კვერცხი, ღვინო, პური, ქერი, ღომი, სანთელი და სხვა.

საეკლესიო გლეხზე დაკისრებული გადასახადის ოდენობა, მისი მთლიანი შემოსავლიდან გამომდინარეობდა. მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ რამდენად ნაყოფიერ მიწას ამუშავებდა გლეხი. ხშირად მღვდელმთავრები გლეხებს გადასახადებზე შეღავათებს აძლევდნენ და მხოლოდ ღვინის ან ღომის ბეგარას აკისრებდნენ. გლეხებს, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატებოდა, ეკლესია გადასახადებს არ აკისრებდა.

საეკლესიო გლეხი იხდიდა სამწყსო (საეპისკოპოსო), სამაჭრობო (შემოდგომის გადასახადი), საყველიერო (გადასახადი დიდი მარხვის დასაწყისში), საპურობო (სამასპინძლო), საბატკობო (გადასახადი აღდგომის შემდეგ. ბატკი სულხან - საბას განმარტებით ჩვილ თიკანს ნიშნავს), საყაჭობო და სხვა სახის გადასახადებს. აღნიშნული გადასახადების გადახდა ძირითადად ნატურით ხდებოდა, იყო ფულადი გადასახადიც. ხონისა და გელათის საყდრის საბუთებში დაცული საბეგრო ნუსხების მიხედვით ამ საეპისკოპოსოების გლეხების გადასახადების ოდენობა XVI ს-ის მეორე ნახევარში ორჯერ აღემატებოდა XVII-XVIII ს-ში არსებული გადასახადების ოდენობას, რაც აღნიშნულ პერიოდში (XVII –XVIII) დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დამადასტურებელია.

იმერეთის სამეფოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოში შემავალი საეპისკოპოსოების რუსული ეპარქიების ყაიდაზე მოწყობის საკითხი. 1817 წელს საქართველოს ეგზარქოსად მოვლინებულმა თეოფილაქტე რუსანოვმა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარება დაიწყო. 1820-22 წლებში რეფორმის ძალით გაუქმდა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო კათედრა (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) და იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდა. გაუქმდა ამ საეპისკოპოსოებში არსებული ტრადიციული სამეურნეო სისტემაც და საეკლესიო გლეხებზე ნატურით დაკისრებული გადასახადები, ფულადი გადასახადებით შეიცვალა, რამაც საერთო ჯამში გადასახადების გაორმაგება გამოიწვია, ეს კი მძიმე ტვირთად დააწვა ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ გლეხობას.

თავი V. გენათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი

1529 წელს გენათელ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყვარელიძე იქნა ხელდასხმული. „კაცი ღვთივ შემოსილი და ანგელოსთა მობაძავი..“ ასე მოიხსენიებს მას აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მალაქია აბაშიძე. მელქისედეკ საყვარელიძეს გელათში აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია. გელათის ღვთისმშობლის ტაძარში შემორჩენილია მისი ფრესკაც. მელქისედეკის გელათის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა 1550 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო.

მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ გენათელის პატივი ყოფილმა მაწყვერელმა ეპისკოპოსმა ანტონიმ მიიღო. გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთის მინაშენის კარიბჭეში გამოსახულ ფრესკას წარწერა ახლავს: „მაწყვერელმან და აწ გენათელ მთავარეპისკოპოსმან ანტონ დავხატენ კარისბჭე ესე ჩემდა სულის საოხად, მეფეთ მეფის გიორგის სადიდებლად, ამინ.“ ანტონი, როგორც გენათელი ეპისკოპოსი მოხსენიებულია XVI ს-ის 50-იან წლებში გამართულ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებაზე მონაწილე მღვდელმთავართა შორის. ანტონი გენათელად ჩანს 1568 წლის საბუთშიც.

მისი გენათლობა XVI ს-ის 50-იანი წლებიდან ამავე საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო.

ანტონის შემდეგ გენათელის პატივი ვინმე აბაშიძემ მიიღო, რომლის სახელს ისტორიულ დოკუმენტებში ვერ მივაკვლიეთ. იმერეთის მეფე გიორგი II (1565 – 1583) ერთ-ერთ საბუთში აღნიშნავს, რომ გენათელად აბაშიძე დასვა. საბუთი 1568 წლის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი. სხვა ცნობები გენათელი აბაშიძის შესახებ არ მოგვეპოვება. მისი გენათლობა დაახლოებით XVI ს-ის 70-იანი წლებით განისაზღვრება.

ჩვენი ვარაუდით, აბაშიძის შემდეგ გენათლობა დომენტი ჩხეტიძემ მიიღო. გენათელი დომენტი ჩხეტიძე მოხსენიებულია კურსების მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში: „ქრისტე შეიწყალე და დაიცევ მშვიდობით ორთავე შინა ცხოვრებათა გენათელი დომენტი ჩხეტიძე, ამინ.“ იგი იხსენიება გოდოგანის მაცხოვრის ეკლესიის ჯვარზე ასომთავრულით შესრულებულ წარწერაშიც: „ჯუარო ქრისტესაო, შეიწყალე ორთავე ცხორებათა გენათელი დომენტი ჩხეტიძე.“ დომენტი ჩხეტიძის ფრესკა თავისი წარწერებით გამოსახული ყოფილა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ მკლავში, რომელიც აღწერილი აქვს გ. წერეთელს. აღნიშნული ფრესკისა და წარწერებისათვის ვეღარ მიუკვლევია ბ. ლომინაძეს 1955 წელს. სამწუხაროა, რომ არც ერთ წარწერას, სადაც დომენტი ჩხეტიძეა მოხსენიებული, თარიღი არ აქვს. ამიტომ ჭირს მისი გელათის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობის წლების განსაზღვრა. დომენტი ჩხეტიძეს გელათში დაახლოებით XVI ს-ის 80-იან წლებში უნდა ემოღვაწა.

XVI ს-ის 90-იანი წლებიდან გენათელად სვიმონ ბატონიშვილი ჩანს. იგი სამეფო სახლის წევრი იყო, რადგან ბატონიშვილად იხსენიება. მისი ფრესკა გამოსახულია გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენში, წარწერით: „ბატონიშვილი გენათელი სვიმონ.“ სვიმონ ბატონიშვილს გენათლობა უნდა სჭეროდა 1637 წლამდე.

1637 წლიდან გენათელი ეპისკოპოსი ხდება ზაქარია ქვარიანი. მის სახელს უკავშირდება ქუთაისში მწვანეყვავილაზე სახლ-კარისა და ციხე-სიმაგრის აგება. მწვანეყვავილაზე გენათელებს რეზიდენცია ჰქონდათ შემდგომ ხანებშიც. ზაქარია ქვარიანი ერთგული და ნდობით აღჭურვილი პირი იყო იმერეთის მეფეების გიორგი III-ის (1583 – 1637) და ალექსანდრე III-ისა (1637 – 1660). ის აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებშიც. 1657 წელს ზაქარია ქვარიანი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი გახდა, მაგრამ პარალელურად გენათლობასაც ითავსებდა. ის 1660 წელს გარდაიცვალა.

ზაქარია ქვარიანის შემდეგ მცირე ხნით გენათლობა აბრაამმა მიიღო. იგი როგორც გენათელი ეპისკოპოსი, 1661 წელს ქუთაისში დასწრებია ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658 – 1675) ძის არჩილის, იმერეთის მეფედ კურთხევის ცერემონიალს.

1663 წლიდან გენათელ ეპისკოპოსად გედეონ ლორთქიფანიძე ჩანს. ის ამავდროულად ნიკორწმინდელიც იყო, მაგრამ 1668 წლიდან მხოლოდ გენათელად იხსენიება. გედეონ გენათელს რთულ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა. იმერეთის სამეფოში პოლიტიკური ანარქია ზენიტში იყო. იმერეთის სამეფო ტახტზე კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ მეფეები. გედეონი მეფე ალექსანდრე III-ის ვაჟს ბაგრატ IV-ს უჭერდა მხარს, რომელიც შინა ფეოდალურ ბრძოლაში დროდადრო ახერხებდა სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამ არეულობის ჟამს გედეონ გენათელი თავისი სამწყსო მიწების შენარჩუნებასა და მეურნეობის გადარჩენაზეც ზრუნავდა. უმემკვიდროდ დარჩენილ მიწა-წყალზე ასახლებდა გლეხებს და სამუშაო პირობებს უქმნიდა. ის გავლენიანი და მდიდარი ადამიანი იყო მთელს იმერეთში. 1673 – 1678

წლებში ჩვენთვის დაუდგენელი მიზეზების გამო, გედეონ ლორთქიფანიძემ გელათიდან ხოში გადაინაცვლა. 1678 წლიდან ის კვლავ გელათში დაბრუნდა და გარდაცვალებამდე (1682) გელათის საეპისკოპოსოს განაგებდა.

გედეონ ლორთქიფანიძის ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე ყოფნის დროს 1673 – 1678 წლებში, მცირე ხნით 1673 წელს გელათის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა დავით ნემსაძემ, რომელიც იმავე წელს (1673) აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი გახდა, გენათელის პატივი კი გრიგოლს ხვდა წილად, რომლის გენათლობა 1673 წლიდან 1678 წლამდე გაგრძელდა.

გედეონ ლორთქიფანიძის გარადაცვალების შემდეგ 1682 წლიდან გელათის საეპისკოპოსო კათედრას ნიკოლოზ ლორთქიფანიძე იკავებს. ის მოხსენიებულია იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის მიერ გელათვისათვის ბოძებული სიგელის გვიანდელ მინაწერში. მინაწერი იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ს ეკუთვნის. ნიკოლოზ ლორთქიფანიძის გენათლობა 1690 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო, რადგან 1691 წლის საბუთში გენათელად უკვე მარკოზ ლაშხიშვილი ჩანს. ამ უკანასკნელმა დეკანოზ სვიმონს უბოძა მახარა კლდიაშვილი მისი ოჯახით. სხვა ცნობები მარკოზ ლაშხიშვილის შესახებ არ მოგვეპოვება. მან გელათში XVII ს-ის 90-იან წლებში იმოღვაწა.

მარკოზ ლაშხიშვილის შემდეგ მცირე ხნით გენათელი გახდა გიორგი დადიან - ლიპარტიანის ვაჟი გაბრიელი, რომელმაც მოგვიანებით ჭყონდიდლობა და ჯუმათლობაც შეითავსა. მისი გენათლობა 1698 – 1701 წლებს შორის არის სავარაუდებელი.

1701 წლიდან გენათელი ეპისკოპოსია ნიკოლოზი. ის აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძესთან ერთად, აქტიურად იბრძვის ოსმალური აგრესიისა და ქვეყანაში გავრცელებული ტყვის სყიდვის წინააღმდეგ.

1717 წლით დათარიღებულ საბუთში ორი გენათელი ეპისკოპოსი - ნიკოლოზი და გედეონ ჩხეტიძე იხსენიება. ჩვენი ვარაუდით აქ გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე, რადგან გედეონ ჩხეტიძემ გენათლობა 1723 წლიდან მიიღო.

გენათელი ნიკოლოზის შემდეგ 1717/20 – 1723 წლებში, გელათის ეპისკოპოსი იყო გაბრიელ ბეჟანის ძე დადიანი. ეს უკანასკნელი იმერეთის მეფე ალექსანდრე V-სთან, ბეჟან დადიანთან და ზურაბ აბაშიძესთან ერთად, შუამავალი და გამრიგეა პაპუნა წერეთელსა და ზაალს შორის წარმოებული სასამართლო დავისა.

როგორც აღვნიშნეთ 1723 წლიდან გენათელი ეპისკოპოსია რაჭის ერისთავის შოშიტა ჩხეტიძის ძმა გედეონ ჩხეტიძე. გენათელი გედეონი თავიდან მეფე ალექსანდრე V-ს მოწინააღმდეგე იყო, შემდეგ მისი ერთგული გახდა. მეფე ალექსანდრეს მისთვის ბარის საერისთავოც კი შეუქმნია და ბარის ერისთავი უწოდებია. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „რამეთუ ესე ბარის ერისთავი იყო გენათელი და ძმა შოშიტა რაჭის ერისთავისა. ამან წარგუარა ცოლი ძმისწულსა თვისსა პაპუნას, ასული ვახტანგ მეფისა, შეირთო თვით და მოვიდა მეფესა თანა. ამან შეიწყნარა შურითა ერისთავისათა და მისცა საერისთო მამული იმერეთს – შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად.“ მიუხედავად გედეონ გენათელის უზნეო საქციელისა, ის გარკვეული პერიოდი ბარის ერისთავობასთან ერთად გენათლობასაც ითავსებდა. გედეონი ბოლომდე ალექსანდრე V- ის ერთგული დარჩა. იგი 1741 წელს იმერეთიდან დევნილ მეფეს თან გაჰყვა ქართლში. ქართლის ხანმა მეფე ალექსანდრე, დიდი პატივისცემით მიიღო, ისე, როგორც მეფეს ეკადრებოდა, მაგრამ შემდეგ დაატყვევა. ამის მხილველი ბარის ერისთავი ეახლა დარუბანდში მყოფ ირანის მბრძანებელს

ნადირ-შაჰს და მეფის თხოვნა მიართვა. ნადირ-შაჰმა იმერეთის მეფის თხოვნა შეიწყნარა და ახალციხის ფაშა იუსუფის დახმარებით ალექსანდრე V იმერეთის სამეფო ტახტზე დააბრუნა. ამის შემდეგ ბარის ერისთავი გედეონის შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება.

გედეონ ჩხეტიძის შემდეგ გელათის საეპისკოპოსო ტახტი დაიკავა ეფთვიმე I-მა შარვაშიძემ. მას 1738 წელს გელათში დიაკვნად ხელი დაუსხამს ბერად აღკვეცილი ანტონისათვის (ერისკაცობაში თეიმურაზ ბატონიშვილი და შემდგომში ქართლის კათალიკოსი ანტონ I). ეფთვიმე I გენათელად ჩანს 1744 წლის საბუთშიც. მისი გენათლობა 1736/38 – 1745 წლებში ივარაუდება.

1745 წლიდან გენათელი ეპისკოპოსი ხდება მეფე ალექსანდრე V-ის ვაჟი და მეფე სოლომონ I-ის ძმა იოსებ (იესე) ბატონიშვილი. იოსებ გენათელისა და სოლომონ I-ის თაოსნობით იმერეთის სამეფოში მთელი რიგი საეკლესიო და სახელმწიფო რეფორმები გატარდა. იოსები თავის ძმას მეფე სოლომონს მხარში ედგა ქვეყნის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. იოსებს მოღვაწეობა უწევდა დიპლომატიურ სარბიელზეც. 1766 წელს სოლომონ I-მა ის სტამბულში ელჩად მიავლინა ოსმალეთსა და იმერეთს შორის მოლაპარაკების გასამართად. იოსების ელჩობამ წარმატებით ჩაიარა. 1769 წელს მეფე სოლომონმა იოსები აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსად დასვა. კათალიკოსობასთან ერთად იოსები გენათლობასაც ითავსებდა. ის ცდილობდა რაჭის ერისთავის როსტომისა და მეფე სოლომონის შერიგებას. ამის გამო იოსები თავად გაეშურა რაჭაში და როსტომ ერისთავს პირობა მისცა, რომ მეფე არაფერს ავნებდა. ამით დაიმედებული როსტომ ერისთავი თავის ოჯახთან ერთად მეფესთან შესარიგებლად იმერეთში ჩავიდა. მაგრამ მეფე სოლომონ I-მა არ შეასრულა თავისი ძმისთვის მიცემული პირობა, რომ ერისთავს „საარაკოდ მოეპყრობოდა.“ ამის საპირისპიროდ სოლომონმა როსტომ ჩხეიძეს და მის შვილებს თვალები დათხარა. რაჭის საერისთავო გაუქმებული იქნა. როდესაც იოსებმა როსტომ ჩხეიძისა და მისი შვილების თვალების დათხრის ამბავი შეიტყო, დიდ სინანულში ჩავარდა და მას შემდეგ აღარ უწირავს. იოსები 1776 წლის 13 მაისს გარდაიცვალა.

იოსებ ბატონიშვილის შემდეგ გელათის უკანასკნელი ეპისკოპოსი გახდა ეფთვიმე II შარვაშიძე. ეფთვიმე უკანასკნელი იყო, რადგან მისი ეპისკოპოსობის პერიოდში გაუქმდა გელათის საეპისკოპოსო. მან გელათის საეპისკოპოსო კათედრაზე 44 წელი დაყო და ამ ხნის მანძილზე ზრუნვას არ აკლებდა თავის სამწყსოს. 1819-20 წლებში საქართველოს ეგზარქოსის თეოფილაქტე რუსანოვის მიერ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარებას, რომელიც რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების გაუქმებას და ქართული ეკლესიის რუსული ეკლესიის ყაიდაზე მოწყობას ისახავდა მიზნად, იმერეთის საზოგადოებსათანს ერთად წინ აღუდგა ეფთვიმე შარვაშიძე. ამის გამო რუსეთის ხელისუფლებამ ქუთათელი დოსითეოს წერეთელი და გენათელი ეფთვიმე შარვაშიძე შეიპყრო და რუსეთში გადაასახლა. დაპატიმრების დროს მიღებული ჭრილობებისგან დოსითეოს ქუთათელი გზაში გარდაიცვალა და ანანურში დაკრძალეს. ეფთვიმემ რუსეთში ჩააღწია და 1822 წლის 21 აპრილს ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში აღესრულა. 2005 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ეფთვიმე გენათელის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მიწას მიაბარეს. ქართველი ერისა და ქართული ეკლესიისთვის თავდადებული გენათელი ეპისკოპოსი ეფთვიმე შარვაშიძე საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მელქისედეკ საყვარელიძე	1529 – XVI ს-ის 50-იანი წლები.
ანტონი (ყოფილი მაწყვერელი)	XVI ს-ის 50 – იანი წლები - 1567/68 წწ.
აბაშიძე (სახელი უცნობია)	1567/68 – XVI ს-ის 70-იანი წლები.
დომენტი ჩხეტიძე	XVI ს-ის 80 - 90 - იან წლები?
სვიმონ ბატონიშვილი	1595/96 - 1637?
ზაქარია ქვარიანი	1637 – 1659/60 წწ.
აბრაამი	1660 - 1662?
გედეონ ლორთქიფანიძე	1662 - 1673 წწ.
დავით ნემსაძე	1673 წ.
გრიგოლი	1673 - 1678 წწ.
გედეონ ლორთქიფანიძე	1678 - 1682 წწ.
ნიკოლოზ ლორთქიფანიძე	1682 – 1690/91 წწ.
მარკოზ ლაშხიშვილი	1690/91 – 1697/98 წწ. ?
გაბრიელ I გიორგის ძე დადიანი	1697/98 - 1701 წწ.
ნიკოლოზი	1701 – 1717/20 წწ. ?
გაბრიელ II ბეჟანის ძე დადიანი	1720/21 -1723 წწ.
გედეონ ჩხეტიძე (ბარის ერისთავი)	1723 - 1733 წწ. ?
ეფთვიმე I შარვაშიძე	1736/37 - 1745 წწ
იოსებ ბაგრატიონი	1745 - 1776 წწ.
ეფთვიმე II შერვაშიძე	1776 - 1820 წწ.

თავი VI. ხონელი ეპისკოპოსების მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი

1529 წელს ხონელ ეპისკოპოსად დადგენილი იქნა მანოელ ჩხეტიძე, რომელსაც აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსმა მალაქია აბაშიძემ ბიჭვინთაში დაასხა ხელი. თ. ჟორდანიას ვარაუდით, თოფურიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენიებული მანოელ ქუთათელი, შეიძლება 1529 წელს ხონელად ხელდასხმული მანოელ ჩხეტიძე იყოს. თოფურიძეთა სიგელი დაახლოებით 1484 – 88 წლებში უნდა იყოს დაწერილი. თუკი ამ სიგელში მოხსენიებულ მანოელ ქუთათელს ხონელ მანოელთან გავაიგივებთ, გამოვა, რომ 1529 წლისათვის მანოელ ჩხეტიძე ხანდაზმული იყო. მანოელს ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე დიდი ხანი არ დაუყვია, 1534 წელს მეფე ბაგრატ III - მ ის ხონიდან ნიკორწმინდაში გადაიყვანა. მოგვიანებით მანოელ ჩხეტიძემ აწყურის საეპისკოპოსო კათედრაც დაიკავა.

მანოელ ჩხეტიძის შემდეგ ხონელი ეპისკოპოსი გახდა ზაქარია ჩხეტიძე. მას მონაწილეობა მიუღია XVI-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში გამართულ საეკლესიო კრებაზე. ზაქარია ჩხეტიძეს ხონის საყდრისათვის შეუქმნია საწინამძღვრო ჯვარი, რომელსაც წარწერა ახლავს: „მე ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან უღირსმან ხონელ მთავარეფისკოპოზმან ჩხეტიძემან ზაქარია შევქმენ ჯუარი ესე სახსრად სულისა ჩემისა.“ წარწერა შესრულებულია ბაგრატ III-ის ძის, გიორგი II-ის (1565 – 1583) მეფობის დროს. ზაქარიას ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა დაახლოებით XVI-ის 30-იან - 70-იანი წლებით უნდა განისაზღვროს.

ზაქარიას შემდეგ ხონელ ეპისკოპოსად ჩანს ბასილი ჩხეტიძე. ის მესამეა ჩხეტიძეთა საგვარეულოდან ვინც ხონის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა. მას აღუკვეთავს ბეგარა ხოჟონო კეთილაძისათვის და მისი შთამომავლობისათვის. ბასილი ჩხეტიძეს ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე XVI 80-იანი წლებიდან XVII ს-ის დასაწყისამდე უნდა ემოღვაწა. ხონელობის შემდეგ ის ქუთათელი ეპისკოპოსი გახდა.

ჩვენთვის უცნობია ვინ განაგებდა ხონის საეპისკოპოსოს XVI ს-ის 10-იან წლებში. XVI-ის 20-იანი წლებიდან ხონელობა შეითავსა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსმა მალაქია აბაშიძემ, რომელსაც ამავე დროს ცაიშლობა და ჯუმათლობა ჰქონდა შეთავსებული. კათალიკოსი მალაქია 1625 წლიდან გურიის მთავარიც გახდა. უმაღლესი საერო და საეკლესიო თანამდებობების ერთი პირის ხელში მოქცევა უჩვეულო მოვლენა იყო. მალაქია გურიელი მთელს დასავლეთ საქართველოში გავლენიან პირად იქცა. 1621 წელს მალაქიას ბრძანებით შეუდგენიათ აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდი დავთარი, საიდანაც ირკვევა, რომ ის 24 საკათალიკოსო მსხვილი მამულის მფლობელი იყო. ერთ-ერთი რეზიდენცია მალაქიას ხონის მახლობლად მდებარე სოფელ მათხოჯში ჰქონდა, რომელიც დაზიანებული ყოფილა და მას შეუკეთებია. მალაქია ხონის საეპისკოპოსოს 1619/21 – 1639 წლებში განაგებდა. 1639 წელს კათალიკოსი მალაქია გარდაიცვალა.

მალაქია გურიელის შემდეგ ხონელი ეპისკოპოსი სვიმონ ჩხეიძე გახდა, რომელიც მანამდე ნიკორწმინდელი იყო. სვიმონ ჩხეიძე იმერეთის მეფის სახლთუხუცესის სეხნია ჩხეიძის ძმა იყო. მას აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია ხონში. სვიმონს დავა ჰქონდა თავად ნიჟარაძესთან, რომელმაც უსამართლოდ დაიჭირა ხონის სამწყსოს წევრი კაცი. აღნიშნული დავა ხონელი სვიმონ ჩხეიძის გამარჯვებით დასრულდა. სვიმონ ჩხეიძემ ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე დაახლოებით 1639 – 1650

წლებში იმოღვაწა. შემდეგ მან ქუთათელის პატივი მიიღო. 1660 წლიდან სვიმონ ჩხეიძე აფხაზეთის კათალიკოსი გახდა.

სვიმონ ჩხეიძის შემდეგ ხონელ ეპისკოპოსად ჩანს სვიმონ ჩიჯავაძე. ხონის საყდრის დავთარში დაცული ცნობის მიხედვით, მისი ხონელობის დროს სანავარდოს მხარე ხონის საეპისკოპოსოს სამწყსოში გაერთიანდა. სვიმონ ჩიჯავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ისა (1637 – 1660) და რუსი ელჩების შეხვედრებში. რუსი ელჩები ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი იმერეთის სამეფოში 1650-52 წლებში იყვნენ. სვიმონ ჩიჯავაძე იხსენიება იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის (1660 - ხანგამოშვებით 1681) მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილიშიც, (წერილი 1669 წლით თარიღდება). მისი ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობა დაახლოებით 1650 – 1673 წლებით განისაზღვრება.

სვიმონ ჩიჯავაძის შემდეგ ხონელობა გედეონ ლორთქიფანიძემ მიიღო. გედეონი 1660 – 63 წლებში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი იყო. 1663 წელს გენათლობაც შეითავსა და გენათელ ნიკორწმინდელად იხსენიებოდა. 1668 წლიდან მხოლოდ გენათელია. 1673 – 1678 წლებში გედეონ ლორთქიფანიძემ გელათიდან ხონში გადაინაცვლა, 1678 წლიდან კი კვლავ გელათში დაბრუნდა და გარდაცვალებამდე (1682) გელათის საეპისკოპოსოს განაგებდა. გედეონ ლორთქიფანიძეს ხონში მოღვაწეობის დროს ხონის წმინდა გიორგის ხატი აღუდგენია, რომელსაც წარწერა ახლავს: „ქ. ჩვენ ხონელ მთავარეფისკოპოზმან გედეონ ხატი ესე წმიდის გიორგის პირველად დამწვარი იყო და ჩვენ მოვაჭედინეთ, რათა გვექმნეს მეოხ აქაც და მერმესა მას საუკუნესა, ამინ.“

გედეონ ლორთქიფანიძის გელათში დაბრუნების შემდეგ ხონელობა სვიმონ საყვარელიძეს უნდა მიეღო. ეს უკანასკნელი ამოწმებს გენათელი გედეონ ლორთქიფანიძისათვის მიცემულ ბეჟან ყიფიანის საფიცრის წიგნს: „ესე საფიცარი და პირი მოგართვი მე ყიფიანმა ბეჟან თქვენ გენათელს ბატონს გედაონს, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ნიშანი მემართა თქვენი და სხვა ვერა გიშოვეთ რა და მაშინა ყიფიანისოული მოგართვით მიწა საყანა ცხრა თავი ასე..... მე ჭიჭინაძეს მღრდელს დამიწერია ქორონიკონსა სამას სამოცდაექვსსა (1678) და ამა წიგნის დაწერაზედ მთავარ ებისკოპოზი საყვარელიძე სვიმონ თან დაგვესწრა და მოწამეცა არის ამისი.“ საბუთში მოხსენიებული „მთავარ ებისკოპოზი საყვარელიძე სვიმონი“ ხონელი ეპისკოპოსი უნდა იყოს, რომელიც სავარაუდოდ ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე XVII ს-ის 80-90-იან წლებში მოღვაწეობდა.

სვიმონ საყვარელიძის შემდეგ ხონის საეპისკოპოსო კათედრას რომანოზი იკავებს. მას აღუწერია „მამათა ცხოვრება,“ რომლის მინაწერშიც თავად რომანოზია მოხსენიებული. ეს ხელნაწერი წიგნი ხონის საყდრის წიგნთსაცავში ინახებოდა. რომანოზს ხონში XVII ს-ის ბოლოდან, XVIII ს-ის 10-იან წლების ჩათვლით უნდა ემოღვაწა.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქვეყანაში არსებული ანარქიის გამო, დროებით მოქმედება შეწყვიტა ხონის საეპისკოპოსომ. მისი აღდგენა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის თაოსნობით მოხდა XVIII ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში. აღდგენილი ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე ხონელ ეპისკოპოსად იოსებ მაჩაბელი დაადგინეს. იოსებ მაჩაბელი საბუთებში არაგვის ერისთავის ძედ იხსენიება. ის 10 წლის ყოფილა როცა გარეჯის მონასტერში ბესარიონ ორბელაშვილისათვის (შემდგომში ქართლის კათალიკოსი) მიუბარებიათ აღსაზრდელად. იოსებს გარეჯში სათანადო განათლება მიუღია. XVIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში იოსები ჯერ ჯვარის მამა გახდა, შემდეგ კი მროველი ეპისკოპოსი. XVIII ს-ის 50-იან წლებში ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა იოსები ჯერ ხონის ეკლესიის

მმართველად დანიშნა, ხოლო საეპისკოპოსოს აღდგენის შემდეგ ხონელ ეპისკოპოსად დასვა. იოსებ მაჩაბელს პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა მეფე სოლომონი. იოსების შუამდგომლობით მეფემ ხონის დეკანოზობა მიქაელ ქუთათელაძეს უბოძა. იოსებმა ხონის საყდარს დაუბრუნა ერისკაცთაგან მისაკუთრებული ყმებიც. მისი ხონელობა 1763 წლამდე გაგრძელდა. იოსებ მაჩაბელი დაახლოებით 71 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იოსების გარდაცვალების შემდეგ 1763 წელს ხონელის პატივი მაქსიმე იაშვილმა მიიღო. მაქსიმე იაშვილი ხონელობამდე ბედიელი იყო. არსებობს ვარაუდი, რომ გარკვეული პერიოდი მას ქუთათელი მთავარეპისკოპოსის კათედრაც ეჭირა. ხონელი მაქსიმე იაშვილი გენათელ იოსებ ბატონიშვილთან ერთად, წინ აღუდგა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოს ბესარიონს, რომელმაც უსამართლოდ მიისაკუთრა ხონის ეკლესიის ანჩის ხატი და მისი შესაწირავი. ხონელი მაქსიმესა და გენათელი იოსების ძალისხმევით, ანჩისხატი შესაწირავთან ერთად ხონის ეკლესიას დაუბრუნდა. მაქსიმე იაშვილმა ცხოვრების უკანასკნელი წლები ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე გაატარა. მან თავისი პირადი ქონება ხონის ეკლესიას შესწირა. მაქსიმე დაახლოებით 1770-71 წლებში გარდაიცვალა.

1771 წლიდან ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს ანტონ ჩიჯავაძე. ანტონი თავისი მოღვაწეობით გამოირჩეოდა ხონელ მღვდელმთავართა შორის. ის ღრმად განსწავლული პიროვნება იყო, მაგრამ ცხოვრების უცნაური წესები ჰქონდა. ამის გამო ანტონ ხონელსა და მეფე სოლომონ I-ს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. მეფემ ანტონი ხონის საეპისკოპოსოს ჩამოაცილა. ანტონი იძულებული გახდა აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო. ხონიდან დევნილი ანტონი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ კარგად მიიღო.

ანტონის აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ ხონის საეპისკოპოსო კათედრა იოანემ დაიკავა. იოანეს ხონის სამწყსოს მათხოჯელი გლეხებისათვის, მათივე თხოვნის საფუძველზე იმგვარივე გადასახადები დაუწესებია, როგორიც ჰქონდათ საწულუკიძეოს, ნახახულავერისა და კონტოეთის გლეხებს. ეს იყო თითო კეხი ხომის გაღება ყოველ მესამე წელიწადს. იოანეს ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან 1784-87 წლებამდე უნდა ემოღვაწა.

მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ (1784) ანტონ ჩიჯავაძე იმერეთში დაბრუნდა. 1787 წლის საბუთში ის კვლავ ხონელად იხსენიება. ანტონი ხონში დაბრუნებისთანავე აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას. მისი თაოსნობით ხონის ეკლესიის მახლობლად აღდგა სამრევლო სკოლა, ბუნებრივი ნაკლის მქონე ბავშვებისათვის აშენდა ას ადგილიანი საავადმყოფო (სასაპყრე) და სხვა მრავალი. ანტონი ზრუნავდა ხონის სამწყსოს გლეხებისთვისაც და მათ სოფლის მეურნოების საწარმოებლად პირობებს უქმნიდა. 1819-20 წლებში, დასავლეთ საქართველოში დაწყებულ საეკლესიო რეფორმას ხალხის მღელვარება მოჰყვა. იმერეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი ანტონ ჩიჯავაძე იყო, რის გამოც 1820 წლის 3 მარტს, საქართველოს ეგზარქოსის ბრძანებით, მას ჩამოერთვა ხონის ეპარქიის მმართველობა და პენსიის სახით დაენიშნა 700 მანეთი. მხცოვანი ხონელი ეპისკოპოსი ამ ფაქტს სევდანარევი ირონიით შეხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ანტონ ჩიჯავაძე ხონის საეპისკოპოსოს მმართველობას ჩამოაცილეს, მას ხონელის პატივი ფორმალურად სიკვდილამდე დარჩა. ანტონ ჩიჯავაძე 1822 წელს გარდაიცვალა და ანდერძის თანახმად ის ხონის ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ დაკრძალეს.

ხონელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მანოელ ჩხეტიძე	1529 – 1534
ზაქარია ჩხეტიძე	1534 – XVI ს-ის 70-იანი წწ.
ბასილი ჩხეიძე	XVI ს-ის 80-იანი წწ. - XVII ს-ის დასაწყისი
მალაქია ცაიშელ – ჯუმათელ –ხონელი	1619/22 – 1639
სვიმონ ჩხეიძე	1639 – 1650
სვიმონ ჩიჯავაძე	1650 – 1673
გედეონ ლორთქიფანიძე	1673 – 1678
სვიმონ საყვარელიძე	1678 – XVII ს-ის 90-იანი წწ.
რომანოზი	XVII – XVIII საუკუნეთა მიჯნა
იოსებ მაჩაბელი	XVIII ს-ის 50-იანი წწ. – 1763
მაქსიმე იაშვილი	1763 – 1771
ანტონ ჩიჯავაძე	1771 – XVIII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო
იოანე	XVIII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო – 1787
ანტონ ჩიჯავაძე	1787 – 1820

თავი VII. ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა მოღვაწეობა და მათი ქრონოლოგიური რიგი

1534 წელს ახლადდაარსებულ ნიკორწმინდის კათედრაზე ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად მანოელი იქნა დადგენილი. მანოელ ნიკორწმინდელი, ყოფილი ხონელი მანოელ ჩხეტიძე უნდა იყოს. იმერეთის მეფე ბაგრატ III მანოელ ნიკორწმინდელს იხსენიებს როგორც „წმიდა და ღმერთშემოსილ“ პიროვნებას. ჩანს, მანოელი მეფე ბაგრატის ერთგული და ნდობით აღჭურვილი პირი იყო. ამით აიხსნება მეფე ბაგრატის მიერ ახლადდაარსებულ ჯერ ხონის, შემდეგ კი ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მანოელ ჩხეტიძის დადგენა. მანოელი არც ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დარჩენილა დიდხანს. ერთ-ერთ მინაწერში ის მაწყვერელად იხსენიება: „ჩხეტიძესა მანოელსა, მაწყვერელსა დღეგრძელობით ცოდვანი მათნი შეუნდვნეს ღმერთმან.“ სავარაუდოდ მეფე ბაგრატმა სამცხეში თავისი

პოზიციების გამტკიცების მიზნით, მანოელ ნიკორწმინდელი ქართლის კათალიკოსთან შეთანხმების შემდეგ, სამცხის ყველაზე გავლენიან საეპისკოპოსო კათედრაზე - აწყურში, მაწყვერელად დასვა. მანოელის ნიკორწმინდიდან აწყურში გადაყვანა 1538 – 1545 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.

მანოელის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა იოაკიმემ, რომელსაც მონაწილეობა მიუღია XVI ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში გამართულ საეკლესიო კრებაზე. სხვა ცნობები ნიკორწმინდელი იოაკიმეს შესახებ არ მოგვეპოვება. მას ნიკორწმინდელობა XVI ს-ის 40-იანი წწ-ის მეორე ნახევრიდან ამავე საუკუნის 50-იანი წწ-ის ჩათვლით უნდა სჭეროდა.

1559 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, ნიკორწმინდელად დავით საყვარელიძე იხსენიება. ის ნიკორწმინდის ეკლესიას სწირავს სოფელ ხვიშში მცხოვრებ ლაზარე დონაძეს. ეს დოკუმენტი ს. კაკაბაძემ 1669 წელს შედგენილად მიიჩნია და ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძე XVII ს-ში მოღვაწე ნიკორწმინდელ დავით მიტროპოლიტთან გააიგივა. ს. კაკაბაძის მოსაზრება გაიზიარა მ. მურუსიძემაც. 1559 წლით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული ნიკორწმინდელი დავით საყვარელიძის, XVII ს-ში მოღვაწე ნიკორწმინდელ დავით მიტროპოლიტთან გაიგივება მეტ დაზუსტებას მოითხოვს. წყროთა სიმწირის გამო ამ საკითხს ღიად ვტოვებთ.

XVI ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში ნიკორწმინდელის პატივი ამბროსი ბაქრაძეს უჭირავს. მას იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ გუჯარი განუახლა და ნიკორწმინდის საყდარს სოფელი რცხილათი შესწირა სამი კომლი გლეხის ოჯახთან ერთად. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ამბროსი ბაქრაძე ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩაანაცვლა პირველმა გენათელმა ეპისკოპოსმა მელქისედეკ საყვარელიძემ.

ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნაწილში ქვაზე კუთხოვანი ასომთავრულით წერია: „წმინდაო ნიკოლოზ: მეოხ ეყავ მეფეს გიორგის: მისი მოწყალებით ჭელიში ავაშენე: ნიკოლოზწმიდელმან საყვარელიძემან მელქიზედეკ: ამინ.“ მელქისედეკ საყვარელიძეს ნიკორწმინდელობა 1565 წლის შემდეგ უნდა მიეღო და დაახლოებით 1573 წლამდე სჭეროდა.

მელქისედეკის შემდეგ ნიკორწმინდელი კვლავ ამბროსი ბაქრაძე ხდება. ის იხსენიება იმერეთის მეფის ლევანის შეწირულობის წიგნში, რომელიც 1591 წლით თარიღდება. ეს დათარიღება სიზუსტეს მოკლებულია, რადგან ცნობილია, რომ მამია დადიანის მიერ დატყვევებული მეფე ლევანი, 1590 წელს შხეფის ციხეში გარდაიცვალა და შესაბამისად 1591 წელს ის საბუთს ვეღარ გასცემდა. ამ დოკუმენტში აღნიშნული დათარიღების მიხედვით სიგელი დაწერილია ლევანის მეფობის მეორე ინდიკტიონს 1591 წელს. ლევანი 1583 წელს გამეფდა. შესაბამისად მისი მეფობის მეორე ინდიკტიონი 1584 წელია და არა 1591. ამრიგად ზემოთ მოყვანილი საბუთი 1584 წელს უნდა დაწერილიყო. ამბროსი ბაქრაძეს ნიკორწმინდელობა დაახლოებით XVI ს-ის 90-იანი წწ-ის დასაწყისამდე ეჭირა.

ამბროსი ბაქრაძის შემდეგ ნიკორწმინდელი ხდება ნიკოლოზი. ნიკოლოზ ნიკორწმინდელი მოხსენიებულია ოთარ იაშვილის მიერ მიცემულ პირობის წიგნში. საბუთი დაწერილია იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1604 – 1639) მეფობის დროს. სხვა საბუთებში ნიკოლოზ ნიკორწმინდელი არ გვხვდება. მას ნიკორწმინდელობა XVI ს-ის ბოლოდან, XVII ს-ის 20-იანი წლების ჩათვლით უნდა სჭეროდა.

XVII ს-ის 30-იან წლებში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე ჩანს სვიმონ ჩხეტიძე. ის იმერეთის მეფის სახლთუხუცესის სეხნია ჩხეიძის ძმა იყო. ნიკორწმინდელი სვიმონისათვის მეფე გიორგი III-ს ესფოფოა მღრდელაძე შეუწირავს. 1639 წლიდან სვიმონ ჩხეტიძე ხონელი ეპისკოპოსი გახდა, XVII ს-

ის 50-იანი წლების დასაწყისში ის უკვე ქუთათელია, 1660 წლიდან კი აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი.

სვიმონ ჩხეტიძის შემდეგ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი გახდა დავითი. ნიკორწმინდელ დავით მიტროპოლიტს იხსენიებენ რუსი ელჩები, ალექსი იევლევი და ნიკიფორე ტოლოჩანოვი, რომლებიც იმერეთის სამეფოში 1650-52 წლებში იმყოფებოდნენ. ნიკორწმინდელი დავითი მონაწილეობას იღებდა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ისა და რუს ელჩებს შორის გამართულ შეხვედრებში. დავით ნიკორწმინდელს ხელი მოუწერია 1651 წლის 9 ოქტომბერს მეფე ალექსანდრეს მიერ რუსეთის ხელმწიფისადმი დადებულ ფიცის წიგნისთვის.

დაახლოებით XVII ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე დავით მიტროპოლიტი იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესის ლომკაც ჯაფარიძის ძმამ, სვიმონ ჯაფარიძემ შეცვალა. ჩვენთვის უცნობია რით იყო განპირობებული ეს ჩანაცვლება. სვიმონის ნიკორწმინდელობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1660 წლიდან ნიკორწმინდელად გედეონ ლორთქიფანიძე ჩანს.

გედეონ ლორთქიფანიძე მოხსენიებულია იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის მიერ გაცემულ სიგელში, რომელიც 1660 წლით თარიღდება. 1663 წლიდან გედეონმა გენათლობაც შეითავსა და გარკვეული პერიოდი გენათელ-ნიკორწმინდელი გახდა. 1668 წლიდან ის მხოლოდ გენათელად იხსენიება.

როგორც ირკვევა, დაახლოებით 1666-67 წლებში ნიკორწმინდელობა კვლავ დავით მიტროპოლიტმა დაიბრუნა. მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1669 წელს რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში, სხვა მღვდელმთავრებთან ერთად იხსენიება „ნიკოლოოზ წმინდელი დავითი.“ მისი ნიკორწმინდელობა XVII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისამდე უნდა გაგრძელებულიყო.

XVII ს-ის 80-იანი წლებიდან ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობდა ცნობილი ფეოდალის მერაბ წულუკიძის ძმა სვიმონ წულუკიძე. აგარის ეკლესიისათვის შეწირულ ვერცხლის ფეშხუმზე შესრულებულ წარწერაში, მერაბ წულუკიძე აღნიშნავს, რომ ნიკორწმინდელად თავისი ძმა დასვა. სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის მიერ გაზრდილი მერაბ წულუკიძე, დიდი გავლენით სარგებლობდა იმ ხანის დასავლეთ საქართველოში. ეს ნათლად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ რიგითი ფეოდალი თავს უფლებას აძლევს ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე თვითონ დაადგინოს ეპისკოპოსი, ამ შემთხვევაში თავისი ძმა სვიმონი. სვიმონ წულუკიძემ ნიკორწმინდაში საკმაო ხანს იმოღვაწა. ის ნიკორწმინდელად ჩანს XVIII ს-ის 20-იან წლებშიც. სვიმონ ნიკორწმინდელი გენათელ გედეონთან ერთად ამოწმებს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ გაცემულ სიგელს. სიგელი უთარიღოა. გედეონი გენათელად ჩანს 1723-24 წლებიდან. ეს საბუთიც ამ პერიოდში უნდა დაწერილიყო. ამ დროისათვის სვიმონ წულუკიძე ხანდაზმული იქნებოდა.

XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე არსებულ საბუთებში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები არ ჩანან. სავარაუდოდ, ამ დროს, ქუთაისისა და ხონის საეპისკოპოსოების მსგავსად, ნიკორწმინდის საეპისკოპოსომაც შეწყვიტა მოქმედება. მისი აღდგენა XVIII ს-ის 50-იან წწ-ში მოხდა იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ინიციატივით. აღდგენილ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე გერმანე წულუკიძე დაადგინეს.

გერმანე წულუკიძე რაჭა-ლეჩხუმის სარდლის მერაბ II წულუკიძისა და დარეჯან აბაშიძის ვაჟი იყო. ირკვევა, რომ გერმანეს ნიკორწმინდელობამდე აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს)

საკათალიკოსო ტახტი ეჭირა, მაგრამ წყაროთა სიმწირის გამო ძნელია განსაზღვრა მისი ამ თანამდებობაზე მოღვაწეობის წლებისა. სამეცნიერო წრეებში გერმანეს აფხაზეთის კათალიკოსობა ზოგადად XVIII ს-ის მეორე ნახევრით განისაზღვრება. არსებობს გადმოცემა, რომ გერმანემ კათალიკოსობა რაჭის ერისთავის ძმას ბესარიონს დაუთმო და თვითონ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა, მაგრამ ძნელი სათქმელია რამდენად შეესაბამება ეს გადმოცემა სინამდვილეს. ნიკორწმინდელ გერმანეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მეფე სოლომონ I-ის მოწინააღმდეგე რაჭის ერისთავ როსტომ ჩხეიძესთან და მის ძმა ბესარიონთან. ამის გამო სოლომონმა როსტომის დატყვევებისა და რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, 1769 წელს გერმანე ნიკორწმინდელობიდან გადააყენა და მის ნაცვლად სილიბისტრო ღოღობერიძე დასვა.

სილიბისტრო ღოღობერიძე XVIII ს-ის 50-იან წლებში იმერეთის სამეფო კარის წინამძღვარი ყოფილა, მას არქიმანდრიტის ხარისხი ჰქონდა. ამავე დროს სილიბისტრო იყო მწერალი და დამმოწმებელი იმ მარავალი დოკუმენტისა, რომელიც იმერეთის სამეფო კარზე დგებოდა. 1766 წელს ის სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს „ლეჩხუმის საირმედ სახელდებულის“ უდაბნოს მამად დაუდგენია. სილიბისტრო საირმის უდაბნოს მამად ჩანს 1771 წლის საბუთშიც. მისი ნიკორწმინდელად ხელდასხმა 1771-1773 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. სილიბისტროს ნიკორწმინდაში მოღვაწეობა ტრაგიკულად დასრულდა. ის გლეხი ნადირაძის მსხვერპლი გახდა. მიზეზი ასეთი იყო: არეულობის ჟამს რაჭაში ლეკებს ერთ-ერთი გლეხის ცოლი მოუტაციათ, რომელიც ვინმე ნადირაძეს დაუხსნია და თავად შეურთავს ცოლად. სილიბისტრომ ნადირაძეს ცოლი წაართვა და პირველ ქმარს დაუბრუნა. დავით ბატონიშვილის გადმოცემით ამის გამო განაწყენებული ნადირაძე ჩაუსაფრდა ნიკორწმინდელ სილიბისტროს და „ახლად ნაწირავს ეკელესიის კარზედ ჰკრა თოფი და მოკლა.“

სილიბისტროს სიკვდილის შემდეგ ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრაზე კვლავ გერმანე წულუკიძე დაბრუნდა. მას ნიკორწმინდელობა 1792 წელსაც ეჭირა. 1793 წლიდან ნიკორწმინდელად ჩანს სოფრონიოს წულუკიძე.

სოფრონიოსი ახლო ნათესავი იყო გერმანე წულუკიძის. მას სასულიერო განათლება ნიკორწმინდის ეკლესიაში მიუღია. 1778 წელს ეფთვიმე გენათელს სოფრონიოსი გელათში ბერად აღუკვეცავს. სოფრონიოსი ეპისკოპოსობის პირველივე წლებიდან აქტიურად შეუდგა მოღვაწეობას. ის ზრუნავდა თავისი სამწყსოს გაძლიერებაზე. სამუშაო პირობებს უქმნიდა ნიკორწმინდის საყდრის გლეხებს. სოფრონიოსი ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესებშიც. 1819-20 წლების აჯანყების დროს, სოფრონიოსი, განსხვავებით იმერეთის სხვა მღვდელმთავრებისაგან, რუსეთის ხელისუფლების გვერდით დადგა და ამაგიც დაუფასდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ის უმაღლესის ბრძანებით იმერეთის არქიეპისკოპოსად დაადგინეს. სოფრონიოსს პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი. ის სოფრონიოსს იხსენიებდა როგორც: „ჭეშმარიტითა მაღალ პატივისცემითა და ძმებრივითა სიყვარულითა უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი...“ 1821 წლის 19 ნოემბერს ოფიციალურად მოხდა სოფრონიოსის იმერეთის ეპარქიის მმართველად დამტკიცება. თუმცა ის ფაქტობრივად იმერეთის ეპარქიის მართვას 1820 წლის 3 მარტიდან შეუდგა, როცა რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოებმა (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) რუსეთის ხელისუფლების ძალისმიერი ჩარევის შემდეგ არსებობა შეწყვიტეს და იმერეთის ეპარქიაში გაერთიანდნენ. იმერეთის ეპარქიის მმართველობის ბოლო წლები, სოფრონიოს წულუკიძემ ავადმყოფობაში გაატარა. 1841 წლის 18 ნოემბერს რუსეთის უწმინდესმა სინოდმა პირადი თხოვნის საფუძველზე, ავადმყოფობის გამო, არქიეპისკოპოსი სოფრონი გაანთავისუფლა იმერეთის ეპარქიის მმართველობისაგან. ამის შემდეგ სოფრონს დიდხანს აღარ უცოცხლია ის 1842 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა და დაკრძალულ იქნა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

მანოელ ჩხეტიძე	1534 – XVI ს-ის 40 - იანი წწ-ის პირველი ნახევარი
იოაკიმე	XVI ს-ის 40-იანი წწ-ის მეორე ნახევარი - XVI ს-ის 50-იანი წწ.
დავით საყვარელიძე	1559 (?)
ამბროსი ბაქრაძე	XVI ს-ის 60-იანი წლების დასაწყისი
მელქისედეკ საყვარელიძე	1565 – 1573
ამბროსი ბაქრაძე	1573 – XVI ს-ის 90-იანი წწ.
ნიკოლოზი	XVI ს-ის ბოლო XVII ს-ის 20-იანი წწ.
სვიმონ ჩხეტიძე	XVII ს-ის 30-იანი წწ-ის დასაწყისი - 1639
დავით მიტროპოლიტი	1639 – XVII ს-ის 50-იანი წწ-ის პირველი ნახევარი
სვიმონ ჯაფარიძე	XVII ს-ის 50-იანი წწ-ის მეორე ნახევარი - 1660
გედეონ ლორთქიფანიძე	1660 – 1666/67
დავით მიტროპოლიტი	1666/67 – XVII ს-ის 80-იანი წწ-ის დასაწყისი
სვიმონ წულუკიძე	XVII ს-ის 80-იანი წწ. – XVIII-ს-ის 20-იან წწ.
გერმანე წულუკიძე	XVIII ს-ის 50-იანი წწ. – 1771
სილიბისტრო ღოღობერიძე	1771 – XVIII ს-ის 70-იანი წწ-ის ბოლო (?)
გერმანე წულუკიძე	XVIII ს-ის 80-იანი წწ. – 1793
სოფრონიოს წულუკიძე	1793 – 1821 (იმერეთის ეპარქია 1821 – 1842)

დასკვნა

XVI-ის პირველ ნახევარში შექმნილმა გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრებმა, სამი საუკუნე იარსება.

იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565) ინიციატივით გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოების დაარსება, იმ ხანად დასუსტებული ეკლესიის გაძლიერებასა და იმერეთის მეფისათვის პოლიტიკური დასაყრდენის გაჩენას ისახავდა მიზნად. ამ კათედრებზე მოღვაწე ეპისკოპოსები ძირითადად იმერეთის მეფეების ერთგულნი იყვნენ და მათ მხარში ედგნენ როგორც უცხოელი დამპყრობლების, ასევე სეპარატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები არა მარტო სასულიერო ცენტრებს, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართველი ერის ცხოვრებაში. ამ კათედრებზე, როგორც შედარებით დაცულ ადგილებში, თავს იყრიდა უამრავი განძი და სიწმინდე.

XVI ს-ის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში ჩატარებულმა საეკლესიო კრებამ, იმ ხანად ერსა და ეკელსიაში გავრცელებული მანკიერებების აღსაკვეთად ზომები მიიღო. განისაზღვრა დასავლეთ საქართველოს და მათ შორის რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების მართვა-გამგეობის წესები და ეპისკოპოსების უფლება ვალდებულებებიც. ეპისკოპოსს აეკრძალა 20 დღეზე მეტი ხნით თავისი სამწყსოს დატოვება, თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ იყო. ეპისკოპოსს თავისი სამწყსოს სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვის გარდა, საეპისკოპოსოს შიგნით აღმშენებლობითი სამუშაოების წარმოება, საეკლესიო ყმა–მამულის გაზრდა და მწარმოებელი კლასისათვის სამეურნეო პირობების შექმნაც ევალებოდა. ეპისკოპოსები ვალდებულნი იყვნენ საჭიროების შემთხვევაში თავიანთ სამწყსოში მოეხდინათ სმხედრო მობილიზაცია. საეპისკოპოსოებიდან გამოყვანილი ჯარი თავად–აზნაურებისაგან შედგებოდა.

რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) დიდი ყმა-მამულის მფლობელნიც იყვნენ, რაც მათ ეკონომიკურ სიძლიერეზე აისახებოდა. ამ საეპისკოპოსოებში კარგად იყო გამართული სამეურნეო მექანიზმი. წამყვან დარგად მიწათმოქმედება ითვლებოდა. განვითარებული იყო მევენახეობა და მეფუტკრეობა. მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც. ჩვენს ხელთ არსებული გელათისა და ხონის საყდრის საბეგრო ნუსხების მიხედვით, XVI ს-ში ამ საეპისკოპოსოების შემოსავალი ორჯერ აღემატებოდა XVII-XVIII სს-ში არსებულ შემოსავალს, რაც იმ ხანად (XVII-XVIII სს-ში) დასავლეთ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებელია.

გელათის საეპისკოპოსო კათედრა უპირატესი იყო რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოთა შორის. გენათელი ეპისკოპოსები დიდი გავლენით სარგებლობდნენ იმერეთის სამეფო კარზე. XVI ს-ის 20-იან წლებში არსებობა შეწყვიტა გელათის აკადემიამ და შესაბამისად გაუქმდა მოძღვართ-მოძღვრის (აკადემიის რექტორის) ინსტიტუტი, რაც მძიმედ აისახა იმდროინდელ ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე. ასეთ რთულ ვითარებაში გელათის აკადემიის მემკვიდრეობა ახლადდაარსებულმა გელათის საეპისკოპოსო კათედრამ ითავა, ხოლო მოძღვართ-მოძღვრის ფუნქცია გენათელმა ეპისკოპოსმა შეითავსა. ეს ფუნქცია გენათელ ეპისკოპოსებს შემდგომ ხანებშიც ჰქონდათ შეთავსებული.

გენათელ ეპისკოპოსებს მოღვაწეობა უწევდათ დიპლომატიურ სარბიელზეც. ამ მხრივ აღსანიშნავია ზაქარია ქვარიანის, იოსებ ბაგრატიონის, ეფთვიმე შერვაშიძის და სხვათა დიპლომატიური საქმიანობანი. ჩვენს ნაშრომში დადგენილია ცხრამეტი გენათელი ეპისკოპოსის ვინაობა და მათი ქრონოლოგიური რიგი. აგრეთვე შესწავლილია გენათელების მრავალმხრივი მოღვაწეობა.

ქვეყნის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ხონის საეპისკოპოსო კათედრას და ამ კათედრაზე ხელდასხმულ ეპისკოპოსებს. არსებული წყაროების მიხედვით ჩვენთვის ცნობილია XVI-XVIII საუკუნეებში მოღვაწე ცამეტი ხონელი ეპისკოპოსის ვინაობა. მათ შორის თავიანთი ღვაწლით გამოირჩეოდნენ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მალაქია, რომელსაც ამავე დროს ცაიშლობა, ჯუმათლობა და ხონელობა ჰქონდა შეთავსებული, ყოფილი მროველი და შემდგომში ხონელი იოსებ მაჩაბელი, აგრეთვე უკანასკნელი ხონელი ეპისკოპოსი ანტონ ჩიჯავაძე, რომელმაც ორმოცდაათ წელზე მეტი დაჰყო ხონის საეპისკოპოსო კათედრაზე და სხვანი. ანტონ ჩიჯავაძის სახელს უკავშირდება ხონში სამრევლო სკოლის ამოქმედება და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებისათვის ას ადგილიანი საავადმყოფოს გახსნა.

ისტორიულ რაჭას მოიცავდა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა. ნიკორწმინდელი ეპისკოპოსები ისევე როგორც რაჭის საერისთავოში, აგრეთვე მთელს იმერეთის სამეფოში დიდი პატივით სარგებლობდნენ. გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის გადმოცემით, ნიკორწმინდელების რეზიდენცია ყველაზე კარგად ნაგები შენობა იყო მთელს იმერეთში, რაც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს. ჩვენთვის ცნობილია თოთხმეტი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის ვინაობა. მათ შორის გამოირჩეოდნენ სვიმონ ჩხეტიძე, (შემდგომში აფხაზეთის კათალიკოსი), გერმანე და სოფრონიოს წულუკიძეები და სხვანი.

რუსეთის ხელიუფლებას დაქვემდებარებულმა საქართველოს საეგზარქოსომ 1820-1822 წლებში დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმა გაატარა, რომლის ძალითაც გაუქმებული იქნა რაჭა-იმერეთის ოთხივე საეპისკოპოსო (ქუთაისი, გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) და მათ ნაცვლად შეიქმნა იმერეთის ეპარქია, რომლის მწყემსმთავრობა, რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულების გამო, უკანასკნელ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს სოფრონიოს წულუკიძეს ანდეს.

გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრებმა და იქ მოღვაწე ეპისკოპოსებმა სამი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართველი ერის ისტორიაში.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხა

1. ბესიკ გაფრინდაშვილი. ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ № 1, თბილისი, 2012. (გვ. 18 – 27).
2. ბესიკ გაფრინდაშვილი. ხონელი მღვდელმთავრების ვინაობის დადგენისათვის 1529 – 1820 წლებში. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ № 1, თბილისი, 2013. (გვ. 51 – 65).
3. ბესიკ გაფრინდაშვილი. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“ № 2, თბილისი, 2013. (გვ. 56 – 71).
4. ბესიკ გაფრინდაშვილი. ნიკორწმინდელი მღვდელმთავრები 1534 – 1822 წლებში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი „გულანი“ 14, ახალციხე, 2014. (გვ. 141 – 162).